ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი 27 სექტემბერი 2023 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების,
პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით,
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელისათვის"
სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილებისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის ------- სექტემბრის № ----------წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №406387299) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №2-ის აღმოსავლეთით (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.689; ფართობი - 691.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) და ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №2-ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №1 (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.687; ფართობი - 527.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების (შეთანხმება №9000008523) საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (№006360823; 08.09.2023 წლის) მიხედვით, რომელიც შეადგენს 17 100.00 (ჩვიდმეტიათას ასი) ლარს. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს ქონების წლიური საიჯარო ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

მუხლი 3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელი" (საიდენტიფიკაციო კოდის №406387299) ვალდებულია უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ტყავ-ფეხსაცმელების ქარხნის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.275; ფართობი - 4669.00 კვ.მ; სკვერი) სკვერის ფუნქციით განაშენიანება იჯარის ხელშეკრულების ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მოახდინოს მრავალწლიანი მწვანე ნარგავების დარგვა, ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი, საფეხმავლო ბილიკის მოწყობა და მისი მოვლა-პატრონობა, ასევე, სკვერში არსებული მწვანე ნარგავების მოვლა, დაზიანებული ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების ახლით შეცვლა, საფეხმავლო ბილიკის დაზიანების შემთხვევაში მისი აღდგენა.

მუხლი 4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ განკარგოს სარგებლობაში გადაცემული ქონება. ამავე პერიოდში, ქონების გასხვისების შემთხვევაში, უზრუნველყოს მოიჯარის ინტერესების დაცვა ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი 5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს იჯარის ხელშეკრულების მომზადება და გაფორმება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადებით.

მუხლი 6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 8. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელისათვის" სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ"

განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იქნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „QUADROM GLOBAL"-ის დირექტორის მომართვა, (16.08.2023 წ. N ----------) რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №2 -ის აღმოსავლეთით (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.689; ფართობი - 691.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) და ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №2 -ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №1 (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.6897 ფართობი - 527.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) სარგებლობაში გადაცემას, შვილობილი კომპანიისათვის (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელი" /საიდენტიფიკაციო კოდის №406387299/) რიგი საინცესტიციო პირობების გათვალისწინებით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს უძრავი ქონებები ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №2 -ის აღმოსავლეთით (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.689; ფართობი - 691.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) და ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №2 -ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №1 (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.6897 ფართობი - 527.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი).

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია განხორციელდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელისათვის" (საიდენტიფიკაციო კოდის №406387299) პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №2 -ის აღმოსავლეთით (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.689; ფართობი - 691.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) და ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №2 -ის აღმოსავლეთით, ნაკვეთი №1 (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.6897 ფართობი - 527.00 კვ.მ; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) 20 (ოცი) წლის ვადით, სარგებლობაში გადაცემა.

ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის, მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" შორის 2023 წლის 3 თებერვალს გაფორმებული №2000188723 ხელშეკრულების (შეთანხმება №9000008523) საფუძველზე, სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს" მიერ წარმოდგენილი დასკვნის (№006360823; 08.09.2023 წლის) მიხედვით, რომელიც შეადგენს 17 100.00 (ჩვიდმეტიათას ასი) ლარს. 5 (ხუთი) საანგარიშო წლის შემდეგ განხორციელდეს ქონების წლიური საიჯარო ქირის გადახედვა, მისი გაზრდის მიზნით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელი" (საიდენტიფიკაციო კოდის №406387299) ვალდებულია უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ტყავ-ფეხსაცმელების ქარხნის სამხრეთით მდებარე უძრავი ქონების (საჯარო რეესტრის ამონაწერი №03.04.32.275; ფართობი - 4669.00 კვ.მ; სკვერი) სკვერის ფუნქციით განაშენიანება იჯარის ხელშეკრულების ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მოახდინოს მრავალწლიანი მწვანე ნარგავების დარგვა, ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების მონტაჟი, საფეხმავლო ბილიკის მოწყობა და მისი მოვლა-პატრონობა, ასევე, სკვერში არსებული მწვანე ნარგავების მოვლა, დაზიანებული ძელსკამების, ნაგვის ურნებისა და განათების ახლით შეცვლა, საფეხმავლო ბილიკის დაზიანების შემთხვევაში მისი აღდგენა.

ასევე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია იღებს ვალდებულებას *ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში* არ განკარგოს სარგებლობაში გადაცემული ქონება. ამავე პერიოდში, ქონების გასხვისების შემთხვევაში, უზრუნველყოს მოიჯარის ინტერესების დაცვა ზიანის მიყენების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ შპს გეგმავს ქალაქში განხორციელოს არანაკლებ 15 000 000.00 (თხუთმეტი მილონი) ლარის ინვესტიცია და პროექტის დასრულების შემდეგ შექმნას არანაკლებ 350 (სამას ორმოცდაათი) სამუშაო ადგილი.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „დ" ქვეპუნქტის „დ.დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი - საკრებულოს თანხმობით წყვეტს უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის საკითხს.

შესაბამისად წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ისთ თაუნ რეზიდენშელისათვის'' სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საკრებულოს სხდომაზე აღნიშნულ საკითხს წარადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი